ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4935604

ნომერი: AR1744809

თარიღი : 22.04.2020

გაცემის თარიღი : 23.04.2020

გაცნობის თარიღი : 23.04.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთას ქუჩა, N 44;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ თარაშვილი პ/ნ 08001003327
- ვარკეთილის3 მე-2 მ/რ,25ა კორპუსი ბინა 19.

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1744809 განცხადებაზე № 4935090 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან არ არის გამოსწორებული, კერძოდ: ვინაიდან საპროექტო ღობის განთავსების ადგილზე გადის თვითმზიდი იზოლირებული სადენი (ს/კ 01.00.240, მესაკუთრე: ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული) და წყალარინების მილსადენი (ს/კ 01.01.772, მესაკუთრე: შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"), საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს თანხმობა, როგორც წერილობითი, ისე დამოწმებული გრაფიკული მასალა (გენ-გეგმა) სახით.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.